

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერძელი
ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2022 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა3

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....6
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....9
2. მომზადების საფუძვლები9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები..... 11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. ფული და ფულის ეკვივალენტები 15
6. კლიენტებზე გაცემული სესხები..... 16
7. სხვა აქტივები 16
8. არამატერიალური აქტივები 16
9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები..... 17
10. ძირითადი საშუალებები 17
11. მიღებული სესხები 18
12. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 18
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები..... 18
14. მოგების გადასახადის ხარჯი..... 19
15. პირობითი ვალდებულებები 19
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 19
17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები..... 20
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 20
მმართველობის ანგარიშგება..... 32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელის (შემდგომში - ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ორგანიზაციის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

აუდიტის ჩატარების პროცესში არ მოგვეცა საშუალება მოგვეპოვებინა სრულყოფილი ინფორმაცია კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და სხვა აქტივებზე. ამის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელია თუ არა კორექტირებების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხვავ კლიენტებზე გაცემულ სესხებთან, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგის ანარიცხთან, საპროცენტო შემოსავალთან, სხვა აქტივებთან და აგრეთვე, ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რაც შეეხება მმართველობის ანგარიშგებას, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

აუდიტორის დასკვნაში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.



ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

20 დეკემბერი, 2023

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერძელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	3,745,086	5,253,104
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	33,046,449	25,659,856
სხვა აქტივები	7	3,193,098	3,318,740
საგადასახადო აქტივი		42,636	192,128
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		23,197	635
არამატერიალური აქტივები	8	190,660	273,761
აქტივების გამოყენების უფლება	9	834,739	1,080,207
ძირითადი საშუალებები	10	793,720	901,472
მთლიანი აქტივები		41,869,585	36,679,903
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		131,577	64,075
მიღებული სესხები	11	3,108,294	1,719,236
საიჯარო ვალდებულებები	9	956,577	1,311,101
მთლიანი ვალდებულებები		4,196,448	3,094,412
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,505,587	2,505,587
გაუნაწილებელი მოგება		35,167,550	31,079,904
მთლიანი კაპიტალი		37,673,137	33,585,491
ვალდებულებები და კაპიტალი		41,869,585	36,679,903

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ეთერ ბერიძე-მელიქიშვილი

ფინანსური დირექტორი _____ ბადრი მელიქიშვილი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	3,745,086	5,253,104
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	33,046,449	25,659,856
სხვა აქტივები	7	3,193,098	3,318,740
საგადასახადო აქტივი		42,636	192,128
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		23,197	635
არამატერიალური აქტივები	8	190,660	273,761
აქტივების გამოყენების უფლება	9	834,739	1,080,207
ძირითადი საშუალებები	10	793,720	901,472
მთლიანი აქტივები		41,869,585	36,679,903
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		131,577	64,075
მიღებული სესხები	11	3,108,294	1,719,236
საიჯარო ვალდებულებები	9	956,577	1,311,101
მთლიანი ვალდებულებები		4,196,448	3,094,412
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,505,587	2,505,587
გაუნაწილებელი მოგება		35,167,550	31,079,904
მთლიანი კაპიტალი		37,673,137	33,585,491
ვალდებულებები და კაპიტალი		41,869,585	36,679,903

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ეთერ ბერიძე-მელიქიშვილი

ფინანსური დირექტორი



ზადრი მელიქიშვილი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერძელი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	12	6,496,445	6,444,992
საპროცენტო ხარჯი	12	(289,221)	(264,919)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		6,207,224	6,180,073
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ცვლილება		825,495	2,621,767
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		7,032,719	8,801,840
შემოსავალი ადრე დაფარვის საკომისიოდან და ჯარიმებიდან		1,139,738	1,417,117
ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება		(1,727,212)	(1,382,418)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,198,766)	(1,160,150)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(270,938)	(181,456)
მოგება დაბეგვრამდე		4,975,541	7,494,933
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(887,895)	(1,023,925)
წლის სრული შემოსავალი		4,087,646	6,471,008

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერძელი
 ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 31 დეკემბერს	2,505,587	24,608,896	27,114,483
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	6,471,008	6,471,008
2021 წლის 31 დეკემბერს	2,505,587	31,079,904	33,585,491
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,087,646	4,087,646
2022 წლის 31 დეკემბერს	2,505,587	35,167,550	37,673,137

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერძელი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგრამდე		4,975,541	7,494,933
კორექტირებები:			
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება		21,912	264,919
ცვეთა და ამორტიზაცია	14	579,295	458,450
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		270,938	181,456
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ანარიცხის ცვლილება		825,495	2,621,767
		6,673,181	11,021,525
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
კლიენტებზე გაცემულ სესხები		(7,944,779)	(7,416,504)
სხვა აქტივები		125,642	1,094,218
სხვა ვალდებულებები		66,186	(3,779)
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება		95,033	(36,659)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		(984,737)	4,658,801
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(178,338)	(64,238)
გადახდილი მოგების გადასახადი		(855,998)	(1,396,900)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(2,019,073)	3,197,663
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(63,529)	(66,316)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(63,529)	(66,316)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების მიღება		3,269,320	1,693,233
სესხების გადახდა		(1,693,627)	(1,144,366)
გადახდილი საიჯარო ვალდებულებები		(492,486)	(497,353)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		1,083,207	51,514
ფულსა და ფულის ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(999,395)	3,182,861
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		5,253,104	2,319,906
უცხოური ვალუტის გადაფასების ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(508,623)	(249,663)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		3,745,086	5,253,104

9-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი (შემდგომში - ორგანიზაცია) დაარსდა 1998 წელს, როგორც შპს აჩიკო, ხოლო 2010 წლის 4 აგვისტოს მოხდა სახელწოდების ცვლილება.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ").

ორგანიზაციის მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორი.

ორგანიზაციის საოპერაციო საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა. ორგანიზაციის ფინანსური პროდუქტებია: ბიზნეს, იპოთეკური, ავტო და სალომბარდო სესხები.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის ორგანიზაციას აქვს ფილიალების ქსელი ბათუმში, ქობულეთში, ფოთში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავსა და თბილისში. სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ ბათუმში.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას ფლობდნენ შემდეგი პირები:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ზურაბ მელიქიშვილი	50%	50%
ეთერ-ბერიძე მელიქიშვილი	50%	50%

ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №93.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

ორგანიზაცია ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება.

ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ორგანიზაცია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ა) 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი სტანდარტები და შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

ეს ცვლილებები ფასს-ების სხვადასხვა სტანდარტებში ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი საანგარიშგებო პერიოდებისთვის. არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ორგანიზაციამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (შესწორება - ბასს 12).
- ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- ფასს 16 იჯარა (შესწორება - საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას);
- ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები);
- ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (შესწორება - გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური შეზღუდვებით);

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებზე. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომი საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, ორგანიზაცია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ორგანიზაციის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

ორგანიზაციას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება - ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება - ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

გადასახადები - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ორგანიზაცია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებს, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება, თუმცა მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად ორგანიზაცია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები.

სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლვადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე ორგანიზაცია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისო-ს რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ორგანიზაციას საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს საკრედიტო კომიტეტს, რომელიც აქტიურ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მენეჯმენტის მიერ.

ორგანიზაცია რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა)	3,685,914	5,164,953
კლიენტებზე გაცემული სესხები	33,046,449	25,659,856
	36,732,363	30,824,809

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ორგანიზაციის ძირითადი საკრედიტო რისკი უკავშირდება კლიენტებზე გაცემულ სესხებს. აღნიშნული რისკი გამოწვეულია იმ შემთხვევებით, როდესაც მსესხებლები ვერ ასრულებენ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მოცემული რისკის განეიტრალება ხდება იმ აქტივებით, რომლებითაც უზრუნველყოფილია კლიენტებზე გაცემული სესხები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია მომდევნო გვერდზე მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	3,108,294	-	-	3,108,294
საიჯარო ვალდებულებები	424,519	604,940	99,600	1,129,059
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	3,532,813	604,940	99,600	4,237,353
სხვა ვალდებულებები	131,577	-	-	131,577
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,664,390	604,940	99,600	4,368,930

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	1,719,236	-	-	1,719,236
საიჯარო ვალდებულებები	450,740	1,032,472	166,049	1,649,261
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	2,169,976	1,032,472	166,049	3,368,497
სხვა ვალდებულებები	64,075	-	-	64,075
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,234,051	1,032,472	166,049	3,432,572

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
კლიენტებზე გაცემული სესხები	31,505,763	1,540,686	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	352,055	3,268,463	124,568
სულ ფინანსური აქტივები	31,857,818	4,809,149	124,568
ფინანსური აქტივები			
მიღებული სესხები	1,851,939	1,256,355	-
საიჯარო ვალდებულებები	405,568	551,009	-
სხვა ვალდებულებები	131,577	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,389,084	1,807,364	-
ღია საბალანსო პოზიცია	29,468,734	3,001,785	124,568

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
კლიენტებზე გაცემული სესხები	22,773,981	2,885,875	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	979,241	4,162,975	110,888
სულ ფინანსური აქტივები	23,753,222	7,048,850	110,888
ფინანსური აქტივები			
მიღებული სესხები	477,806	1,241,430	-
საიჯარო ვალდებულებები	422,459	888,642	-
სხვა ვალდებულებები	64,075	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	964,340	2,130,072	-
ღია საბალანსო პოზიცია	22,788,882	4,918,778	110,888

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გონივრულ ზრდას ან შემცირებას საბაზრო გაცვლითი კურსებში არ ექნება არსებითი ეფექტი ორგანიზაციის წლის სრულ შემოსავალსა ან კაპიტალზე 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მგრძობელობა გაცვლითი კურსის ცვლილებაზე	ლარი/აშშ დოლარი		ლარი/ევრო	
	2022	2021	2022	2021
20% ზრდა	600,357	983,756	24,914	22,178
20% შემცირება	(600,357)	(983,756)	(24,914)	(22,178)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ინფორმაცია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ვალდებულებებზე მოცემულია ზემოთ ლიკვიდურობის რისკის შენიშვნაში მოცემულ ინფორმაციაში.

ორგანიზაცია ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზს.

ორგანიზაციის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ორგანიზაციის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება მფლობელებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული სალაროში	59,172	88,151
ფული ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	3,685,914	5,164,953
	3,745,086	5,253,104

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი	ლარი
სესხის ძირი	1,629,692	33,163,819	4,063,401	23,932,573
დარიცხული პროცენტი	4,908	262,401	135,453	243,171
	1,634,600	33,426,220	4,198,854	24,175,744
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ანარიცხი	(93,914)	(1,920,457)	(1,312,979)	(1,401,763)
სულ გაცემული სესხები	1,540,686	31,505,763	2,885,875	22,773,981

7. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
უზრუნველყოფაში დარჩენილი ქონება	3,088,110	3,191,978
სხვა	104,988	126,762
	3,193,098	3,318,740

*სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, უზრუნველყოფაში დარჩენილი ქონება შედგება ძვირფასი ლითონებისგან. ორგანიზაცია ეტაპობრივად ახორციელებს აღნიშნული ქონების რეალიზაციას.

8. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა და მომხმარებლის ლიცენზიები
31 დეკემბერი 2020	533,712
შემოსვლა	-
31 დეკემბერი 2021	533,712
შემოსვლა	23,178
31 დეკემბერი 2022	556,890
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2020	(212,347)
წლის ამორტიზაცია	(47,604)
31 დეკემბერი 2021	(259,951)
წლის ამორტიზაცია	(106,279)
31 დეკემბერი 2022	(366,230)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2021	273,761
31 დეკემბერი 2022	190,660

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ორგანიზაციის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლისთვისაც აღიარებულია აქტივების გამოყენების უფლება, მოიცავს სათაო და ფილიალების ოფისების იჯარებს. ხელშეკრულების განახლების უფლება დაფუძნებულია არსებულ ბიზნეს პრაქტიკაზე. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში. იჯარების ვადიანობა განსაზღვრულია 3-დან 7 წლამდე. იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა წლიურ 8.26% და 11.73%-ს იჯარების ვადიანობისა და ვალუტების მიხედვით.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	1,080,207	1,455,481
ცვეთა	(324,913)	(307,899)
მოდIFIკაცია	79,445	(67,375)
ნაშთი წლის ბოლოს	834,739	1,080,207

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	1,311,101	1,741,393
საპროცენტო ხარჯი	110,883	141,335
მოდIFIკაცია	78,128	(67,375)
გადახდები	(492,486)	(497,353)
უცხოური ვალუტის გადაფასება	(51,049)	(6,899)
ნაშთი წლის ბოლოს	956,577	1,311,101

ორგანიზაციას არ გააჩნია მსგავსი მახასიათებლების მქონე მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. შესაბამისად, სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოყენებულია დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის.

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	იჯარით			
			ოფისის აღჭურვილობა	აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2020	30,854	672,157	742,083	97,913	101,772	1,644,779
შემოსვლა	-	-	60,613	5,703	-	66,316
გასვლა	-	-	(4,031)	-	-	(4,031)
31 დეკემბერი 2021	30,854	672,157	798,665	103,616	101,772	1,707,064
შემოსვლა	-	-	26,255	14,096	-	40,351
31 დეკემბერი 2022	30,854	672,157	824,920	117,712	101,772	1,747,415
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2020	-	(113,248)	(476,600)	(49,830)	(66,998)	(706,676)
წლის ცვეთა	-	(28,414)	(64,179)	(7,712)	(2,642)	(102,947)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	4,031	-	-	4,031
31 დეკემბერი 2021	-	(141,662)	(536,748)	(57,542)	(69,640)	(805,592)
წლის ცვეთა	-	(22,741)	(113,675)	(9,398)	(2,289)	(148,103)
31 დეკემბერი 2022	-	(164,403)	(650,423)	(66,940)	(71,929)	(953,695)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	30,854	530,495	261,917	46,074	32,132	901,472
31 დეკემბერი 2022	30,854	507,754	174,497	50,772	29,843	793,720

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
იურიდიული პირები	538,847	39,174
ფიზიკური პირები	2,569,447	1,680,062
	3,108,294	1,719,236

ორგანიზაციას სესხები მიღებული აქვს როგორც ეროვნულ ასევე, უცხოურ ვალუტებში აშშ დოლარი). ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხის საპროცენტო განაკვეთი არის 13.5%, 2022 წლის დასაწყისში დაფარვის ვადით. იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 3%-დან 6% მდე. აღნიშნული სესხები ძირითადად ხასიათდება მოკლე ვადიანობით.

მიღებულ და კონვერტირებად სესხებში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	1,719,236	1,172,331
ფულადი ნაკადები	1,397,355	484,629
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	178,338	64,238
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი	(186,635)	(1,962)
ნაშთი წლის ბოლოს	3,108,294	1,719,236

12. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი:		
გაცემული სესხებიდან	6,496,445	6,444,992
	6,496,445	6,444,992
საპროცენტო ხარჯი:		
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხებიდან	(85,263)	(108,415)
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხებიდან	(93,075)	(15,169)
საიჯარო ვალდებულებებიდან	(110,883)	(141,335)
	(289,221)	(264,919)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე	6,207,224	6,180,073

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ცვეთისა და ამორტიზაცია	(579,295)	(458,450)
სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	(150,423)	(105,864)
კომუნალური ხარჯები	(135,815)	(107,460)
რეკლამის ხარჯები	(85,228)	(121,203)
დაცვის ხარჯები	(67,424)	(73,887)
ოფისის ხარჯები	(38,434)	(29,001)
პრობლემურ კლიენტებთან დაკავშირებული სასამართლოს ხარჯები	(37,136)	(93,067)
შეკეთება და შენახვა	(25,744)	(13,391)
სხვა	(79,267)	(157,827)
	(1,198,766)	(1,160,150)

*2022 და 2021 წლების პროფესიული მომსახურება შესაბამისად მოიცავს 29,405 და 41,950 ლარის ღირებულების აუდიტის მომსახურების ხარჯს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილი შემდეგნაირად:

	<u>2022</u>	<u>2021</u>
მიმდინარე მოგების გადასახადი	(910,457)	(1,022,544)
დროებითი სხვაობების ეფექტი	22,562	(1,381)
	<u>(887,895)</u>	<u>(1,023,925)</u>

15. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ორგანიზაციასთან (მათ შორის, დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ორგანიზაციაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ორგანიზაციაზე;

(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებლები	სხვა დაკავშირებული მხარეები
აქტივის გამოყენების უფლება	98,840	-
მიღებული სესხები	2,564,585	137,847
საიჯარო ვალდებულებები	119,928	-
საპროცენტო ხარჯი	(93,237)	(5,024)
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(22,430)	(114,394)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებლები	სხვა დაკავშირებული მხარეები
აქტივის გამოყენების უფლება	91,444	-
მიღებული სესხები	1,679,965	38,173
საიჯარო ვალდებულებები	105,546	-
საპროცენტო ხარჯი	(23,182)	(3,518)
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(36,569)	(39,774)

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ორგანიზაცია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.

სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ორგანიზაცია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით,

ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება მის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ორგანიზაცია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა ორგანიზაციის აღრიცხვა გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებით, კერძოდ ბასს 39-ის მიდგომა - „გაწეული ზარალი“ (CL) ჩაანაცვლა მომავალზე ორიენტირებულმა - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელმა. ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შექმნილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

ორგანიზაციამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები აღიარა ყველა სადებეტო ინსტრუმენტისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

გაუფასურების ზარალისა და ანარიცხის განსაზღვრებამ გადაინაცვლა „გაწეული ზარალის“ (CL) მოდელიდან, რომელიც ბასს 39-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავდა მას შემდეგ, რაც ზარალის გამომწვევი მოვლენა უკვე მომხდარი იყო, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელზე, რომელიც ფასს 9-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავს ფინანსური აქტივის წარმოქმნისთანავე. ფასს 9-ის მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შექმნის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

ვადაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადანაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

უზრუნველყოფის სახე	1 ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი
ოქრო	0-30	31-90	>90
იპოთეკა	0-30	31-90	>90
სხვა მოძრავი ქონება	0-30	31-90	>90

ორგანიზაცია ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) 31 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ბ) მსესხებლის მიერ სამუშაო ადგილის დაკარგვა;
- გ) მესამე მხარის მიერ უზრუნველყოფილ ქონებაზე იურიდიული დავის წამოწყება;
- ე) მსესხებლის ბიზნესის დიდი წილის განადგურება;

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

- ა) ვადაგადაცილება არის 0-დან 30 დღემდე;
- ბ) იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.

გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე, სესხი ბრუნდება მეორე ეტაპზე, თუ ვადაგადაცილება ნულდება.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ბ) მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- გ) უზრუნველყოფის საგნის განადგურება ან დაკარგვა;
- დ) ბიზნესის გაკოტრება ან ლიკვიდაცია (ეხება ბიზნეს სესხებს).

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით ვადაცილების შესახებ.

ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევების გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუადრეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისას.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევების გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ორგანიზაციამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი. განალიზდა შემდეგი მკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი.

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის, სესხები სეგმენტებად დაჯგუფებულია სესხის უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით. PD გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის გადანაცვლების ალბათობას გაუფასურების ეტაპებს შორის.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 3 წლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოდინებები წლის ჭრილში.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია დაანგარიშდება ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე და გამოიყენება პორტფელის იმ მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს დეფოლტის მომენტში. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ დეფოლტი ხდება წლის შუა პერიოდში. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, პროცენტის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

გამოთვლაში ასევე მონაწილეობს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დათვლილი სესხის წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც ამცირებს არსებული სესხის ბალანსს დეფოლტის დადგომამდე (იგი გამოთვლაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში თუ სესხის საშუალო ვადიანობა აღემატება 12 თვეს).

ფინანსური ვალდებულებები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ორგანიზაციამ ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

ორგანიზაცია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთთანხვედრით იურიდიულად არ არის შეზღუდული და ორგანიზაცია გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარეცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ორგანიზაციას აქვს განზრახვა შემოთხსენებულ თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ორგანიზაციას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთისა (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

ცვეთა (და ამორტიზაცია) ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი

მიწა

შენობა

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

ოფისის აღჭურვილობა

სხვა

არამატერიალური აქტივები

წელი

არ ცვდება

30

საიჯარო ვადა

5 - 10

5 - 10

5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ორგანიზაცია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კაპიტალი

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ანარიცხები

ანარიცხი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, რესურსების გადინება არის მოსალოდნელი და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

ანარიცხის საუკეთესო შეფასება არის ის თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად, ან ამ ვალდებულების მესამე მხარისთვის გადასაცემად ამ თარიღისათვის. განსაზღვრულია მოსალოდნელი კორექტირებული ფულადი ნაკადებისთვის შეწონილი ალბათობის გამოყენება, იმ მიზნით რომ ფულადი ნაკადების შეფასებებში აისახოს განუსაზღვრელობები და დისკონტირება, რათა მოხდეს ფულის დროითი ღირებულების ასახვა.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალთან ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება, შესაბამისად, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ორგანიზაცია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი აღიარებულია პასუხისმგებლობის მეთოდის გამოყენებით, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის წარმოქმნილი დროებითი განსხვავებების საფუძველზე. თუმცა, გადავადებული საშემოსავლო გადასახადი არ არის აღრიცხული იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიქმნება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისგან გარდა იმ გარიგებისა, რომლის დროსაც გავლენას არ მოახდენს არც ბუღალტრული აღრიცხვასა და არც მოგება ან ზარალზე. გადავადებული საშემოსავლო გადასახადი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთის (და კანონების) გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედდა ფინანსური ანგარიშგების თარიღით და მისი გამოყენება მოსალოდნელია, როდესაც ხდება გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივის რეალიზება ან განსაზღვრულია გადავადებული საშემოსავლო გადასახადი.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით), როცა მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

იჯარები

ორგანიზაცია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ორგანიზაცია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ორგანიზაცია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება; და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაციის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება 7 წლიან პერიოდზე.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ორგანიზაცია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ორგანიზაცია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია ასახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდებელი მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ორგანიზაცია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ორგანიზაციამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ორგანიზაცია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ორგანიზაციის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ორგანიზაციის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ორგანიზაციის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერძელი

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება	32
საქმიანობის მიმოხილვა.....	34
ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა	34
ძირითადი ფინანსური ინფორმაცია.....	35
ფილიალების საქმიანობის შესახებ	36
დასაქმების საკითხები.....	37
სამომავლო გეგმები	37
სოციალური პასუხისმგებლობა.....	37
რისკების მართვა	38
კვლევები	38

საქმიანობის მიმოხილვა

„ბერმელის“ ისტორია 2000 წელს ქ. ბათუმში შპს „აჩიკოს“ დაარსებით იწყება, რომლის ძირითადი საქმიანობა სალომბარდო საქმიანობა იყო, ორგანიზაციამ საქმიანობა ფიზიკური პირებისაგან სესხის მოზიდვით დაიწყო. დროთა განმავლობაში კომპანიის საქმიანობის არეალი გაფართოვდა და სალომბარდო სესხებთან ერთად სამომხმარებლო და ბიზნეს-სესხების გაცემა დაიწყო. ორგანიზაციის რეორგანიზაცია 2010 წელს მოხდა: შეიცვალა კომპანიის დასახელება (შპს „აჩიკო“ შეიცვალა შპს „ბერმელით“). 2011 წლიდან, კომპანიამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი მიიღო და დღემდე იგივე სტატუსით ოპერირებს ფინანსურ ბაზარზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი გასცემს, როგორც უზრუნველყოფილ, ასევე არაუზრუნველყოფილ სესხებს. სესხის გაცემა ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანების მიხედვით, რაც გულისხმობს სესხების გაცემას დადასტურებული და დაუდასტურებელი შემოსავლების შესაბამისად. ბერმელი მომხმარებლებს სთავაზობს: იპოთეკურ სესხს (20 წლის ვადით), ბიზნეს სესხს (10 წლის ვადით) და სამომხმარებლო სესხს (10 წლის ვადით), ასევე, არაუზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხს (1 წლის ვადით), ავტო სესხს (3 წლის ვადით) და ოქროთი და ტექნიკით უზრუნველყოფილ სესხს (1 წლის ვადით). ბერმელი თავის მომხმარებელს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დროს მრავალჯერადად აითვისოს ნებისმიერი თანხა ლიმიტის ფარგლებში.

ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა

მისო ბერმელი აქტივების სიდიდით ერთ-ერთ მოწინვე პოზიციას იკავებს ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ კომპანიას 2015 წლის შემდგომ არ მოუხდენია მიღებული მოგების განაწილება, არამედ მუდმივად ხდებოდა მისი კაპიტალში ჩაბრუნება, რაც კომპანიის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კომპანიის აკუმულირებული წმინდა მოგება შეადგენდა 4,087,646 ლარს. მთლიანი აქტივები შეადგენს 41,869,585 ლარს, ხოლო 2021 წელს 36,681,286 ლარს.

	31.12.2022	31.12.2021	ცვლილება
მთლიანი აქტივები	41,869,585	36,679,903	5,189,682
კლიენტზე გაცემული სესხები	33,046,449	25,659,856	7,386,593
მთლიანი ვადებულებები	4,196,448	3,094,412	1,102,036
მთლიანი კაპიტალი	37,673,137	33,585,491	4,087,646

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	6,496,445	6,444,992
საპროცენტო ხარჯი	(289,221)	(264,919)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე	6,207,224	6,180,073
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ანარიცხის ცვლილება	825,495	2,621,767
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	7,032,719	8,801,840
შემოსავალი ადრე დაფარვის საკომისიოდან და ჯარიმებიდან	1,139,738	1,417,117
ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება	(1,727,212)	(1,382,418)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები	(1,198,766)	(1,160,150)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	(270,938)	(181,456)
მოგება დაბეგვრამდე	4,975,541	7,494,933
მოგების გადასახადის ხარჯი	(887,895)	(1,023,925)
წლის სრული მოგება	4,087,646	6,471,008

ძირითადი ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური კოეფიციენტები და მათი ანალიზი:

	2022	2021
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი*	8.767	9.9
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი**	9.977	11.41

*გამოითვლება ფულადი სახსრებისა და გაცემული სესხების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან.

**გამოითვლება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები 2022 წლის ბოლოს გაზრდილია, რაც მეტწილად გამოწვეულია მიღებული სესხების დაფარვით და ჭარბი ფულადი თანხების არსებობით. აღნიშნული კოეფიციენტები მიუთითებს, რომ ორგანიზაციას აქვს უნარი, დროულად და სრულად დაფაროს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები.

	2022	2021
საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი*	0.806	1.46

*გამოითვლება საკუთარი კაპიტალის შეფარდებით ნასესხებ სახსრებთან.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

2022 წელს ორგანიზაციას მიღებული სესხები/მოზიდული ჰქონდა მხოლოდ დამფუძნებლისგან, რამაც განაპირობა ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტის ცვლილება, რაც დადებითი კუთხით ახასიათებს ორგანიზაციის მდგომარეობას.

საბრუნავ საშუალებათა საერთო ოდენობაში დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა კლიენტებზე გაცემული სესხები, ამიტომ მათი აბსოლუტური სიდიდის და სტრუქტურის ანალიზი უნდა შეივსოს ბრუნვადობის მაჩვენებლის ანალიზით.

	2022	2021
ბრუნვადობის კოეფიციენტი*	0.673	0,069

*ბრუნვადობის კოეფიციენტი განისაზღვრება რეალიზაციიდან ამონაგების შეფარდებით გაცემული სესხების საშუალო სიდიდესთან.

ფილიალების საქმიანობის შესახებ

ორგანიზაცია საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია 21 ფილიალითა და 5 სერვის ცენტრით შემდეგ ქალაქებში: ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ზუგდიდი, ქუთაისი, თბილისი, რუსთავი. მომხმარებლებს ნებისმიერ ფილიალში შეუძლიათ მიიღონ იპოთეკური, სამომხმარებლო, სალომბარდო და მიკრობიზნეს სესხები. რაც შეეხება ავტო სესხებს, აღნიშნული ტიპის სესხი გაიცემა სათაო, ქუთაისის პირველ და თბილისის პირველ ფილიალებში.

N	ფილიალის დასახელება	ქალაქი/რაიონი	მისამართი, ტელეფონი და ა.შ.
1	სათავო	ბათუმი	ფარნავაზ მეფის ქN93/99
2	N2 ფილიალი	ბათუმი	ალ. ჭავჭავაძის ქN64
3	N3 ფილიალი	ბათუმი	ზ. გორგილაძის ქN1
4	N4 ფილიალი	ბათუმი	ფიროსმანის ქN1
5	N5 ფილიალი	ბათუმი	ალ. ჭავჭავაძის 20
6	N6 ფილიალი	ბათუმი	დ. აღმაშენებლის ქN26
7	N1 სერვისცენტრი	ბათუმი	ვლ. მაიაკოვსკის ქN4
8	N2 სერვისცენტრი	ბათუმი	ალ. ჭავჭავაძის ქN9
9	N3 სერვისცენტრი	ბათუმი	დ. აღმაშენებლის ქN21
10	N4 სერვისცენტრი	ბათუმი	ალ. ჭავჭავაძის ქN9
11	N5 სერვისცენტრი	ბათუმი	26 მაისის ქN67/47
12	ხულოს ფილიალი	ხულო	მემედ აბაშიძის ქN18
13	ქობულეთის ფილიალი	ქობულეთი	ქ. ქობულეთი თავისუფლების ქN3
14	ფოთის ფილიალი	ფოთი	ქ.ფოთი ფარნავაზ მეფის ქN13
15	ზუგდიდის ფილიალი	ზუგდიდი	ქ. ზუგდიდი შ. რუსთაველის ქN89
16	ქუთაისის N1 ფილიალი	ქუთაისი	ქ. ქუთაისი ი. ჭავჭავაძის ქN40
17	ქუთაისის N2 ფილიალი	ქუთაისი	ქ. ქუთაისი ზ. ფალიაშვილის ქN2
18	ქუთაისის N3 ფილიალი	ქუთაისი	ქ. ქუთაისი ი. ჭავჭავაძის ქN32
19	ქუთაისის N4 ფილიალი	ქუთაისი	ქ. ქუთაისი ალ. პუშკინის ქN4
20	ქუთაისის N5 ფილიალი	ქუთაისი	ქ. ქუთაისი ავტომშენებლის ქN10
21	თბილისის N1 ფილიალი	თბილისი	ქ. თბილისი ისნის მეტროს მიმდებარე ტერიტორია
22	თბილისის N2 ფილიალი	თბილისი	ქ. თბილისი კ.გამსახურდიას გამზირი #3
23	თბილისის N3 ფილიალი	თბილისი	ქ. თბილისი გლდანი ხიზანიშვილის ქN16
24	თბილისის N4 ფილიალი	თბილისი	ქ. თბილისი ვარკეთილი ჯავახეთის ქN3
25	თბილისის N5 ფილიალი	თბილისი	ქ. თბილისი ცაბაძის ქN8
26	რუსთავის ფილიალი	რუსთავი	ქ. რუსთავი მესხიშვილის ქN13

დასაქმების საკითხები

შპს მისო „ბერმელში“ დასაქმებულია 100-ზე მეტი თანამშრომელი, თანამშრომელთა მიღება ხდება 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება შემოსული განაცხადების შერჩევა, ხოლო შემდეგ ეტაპზე - გასაუბრება. უამრავი კანდიდატიდან ორგანიზაცია არჩევს: ყველაზე მოტივირებულ, მონდომებულ, მიზანდასახულ, კომუნიკაბელურ და კეთილსინდისიერ თანამშრომლებს. დასაქმებულის პოზიციიდან გამომდინარე კანდიდატი მიიღება სტაჟირებაზე ან გამოსაცდელი ვადით.

საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსი, ამიტომ ორგანიზაცია ცდილობს შეუქმნას მათ ჯანსაღი პირობები მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით. სხვა საფინანსო სექტორებთან შედარებით ორგანიზაცია თანამშრომლებს სთავაზობს მაღალ სახელფასო განაკვეთს. ორგანიზაცია მაქსიმალურად უწყობს ხელს ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრების დასაქმებას, რომლებსაც არ აქვთ სამუშაო გამოცდილება. უქმნის მათ პლაცდარმს კარიერული განვითარებისათვის.

კომპანიაში დანერგილია საბონუსე სისტემა, რომელიც დამატებით მოტივაციას უქმნის თანამშრომლებს აქტიური და წარმატებული საქმიანობისათვის. უწყვეტად ხდება მონდომებულები და შრომისმოყვარე თანამშრომლების დაწინაურება ან მათი სახელფასო განაკვეთის ზრდა. ორგანიზაცია მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას და ამავედროულად მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერად შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქცია მოვალეობები.

ორგანიზაციაში შექმნილია ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო. უსაფრთხოების სტანდარტები დაცულია კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა ფილიალსა და სერვისცენტრში დამონტაჟებულია ვიდეო და სიგნალიზაციის სისტემები.

სამომავლო გეგმები

ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ბაზრის წილის გაზრდა არსებული ფილიალების პორტფელის ოდენობის და გაყიდვების ზრდის საშუალებით. ამ მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია გეგმავს კონკურენტული პოზიციების გაუმჯობესებას, პროდუქტის თვითღირებულების შემცირების, კონკურენტული ტარიფების შეთავაზების, ახალი პოდუქტების დამუშავების, აქტიური გაყიდვებისა და მარკეტინგული პოლიტიკის გატარების გზით. ორგანიზაციის მიზნებს მოკლევადიან პერსპექტივაში წარმოადგენს: სავალუტო ოპერაციების განხორციელების ზრდა, სესხის გაცემის შემსუბუქებული პოლიტიკიდან გამომდინარე საკრედიტო და სალომბარდო პორტფელის ზრდა რეგიონებში, ავტოსესხებისა და ავტოლიზინგის დანერგვა ყველა რეგიონში სადაც აღნიშნული პროდუქტის აქტიური გაყიდვა არ ხდება, რეკლავირებადი პროდუქტის და აგრო სესხების დანერგვა, ახალი პროდუქტის, ფულადი გზავნილების, დანერგვა, აგრეთვე არაუზრუნველყოფილი მიკრო ბიზნეს სესხების პროდუქტების გაყიდვის შედარებითი ზრდა, არსებულ პრობლემურ პორტფელზე აქტიური მუშაობა, სოციალური აქტივობების გაზრდა.

სოციალური პასუხისმგებლობა

მისო ბერმელი აცნობიერებს რა სოციალურ პასუხისმგებლობის მნიშვნელობას ბიზნესში, აქტიურად ცდილობს ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში და შეასრულოს თავისი წილი სოციალური პასუხისმგებლობა. კომპანია თანამშრომლობს სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციასთან, მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო და შემეცნებით ღონისძიებებში, აგრეთვე მხარს უჭერს მათ მსგავს ორგანიზაციებს ფინანსურად.

2023 წელს საქართველოში განვითარებული მეწყრული პროცესების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მხარდაჭერის და მათი ერთჯერადი დახმარების მიზნით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელმა თავისი წვლილი შეტანა და ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მოახდინა თანხის გადარიცხვა სახელმწიფოს მიერ შექმნილ ფონდში.

რისკების მართვა

როგორც ყველა ფინანსურ ბაზარზე მოქმედი ორგანიზაცია, მათ შორის, მისო ბერმელიც დგას უამრავი რისკის წინაშე: საბაზრო, საკრედიტო, სავალუტო და საოპერაციო და კიბერუსაფრთხოების რისკი. 2022 წელს მინიმალურ ზღვარზე იქნა დაყვანილი საოპერაციო რისკები, რაც მიღწეულ იქნა რიგი პრევენციული ღონისძიებებით, კერძოდ: კომპანიაში რისკების მართვის კომიტეტის აგრეთვე საოპერაციო რისკების მართვის ჯგუფისა და აუდიტორული დეპარტამენტის ჩამოყალიბებით, კიბერუსაფრთხოების მიმართულებით გატარებულმა ღონისძიებებისა და ზოგადად კომპანიაში თანამშრომელთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებით. ალტას პროგრამულმა უზრუნველყოფამ შესაძლებლობა მოგვცა თანამშრომლები დაგვევა მხოლოდ მათთვის საჭირო წვდომებზე, პროგრამული მართვა ძირითადად გახდა ცენტრალიზებული. 2019 წელს დაინერგა სმს მოდული სადაც მომხმარებელს შეტყობინების სახით ეცნობება მის სესხზე არსებული დავალიანების და გადახდის თარიღის შესახებ. ასევე 2019 წელს კომპანია აქტიურად ჩაერთო მსესხებლების გადამოწმებისა და მონიტორინგის ერთიან ბაზაში, დაინერგა კრედიტინგოს მოდული, რომელიც საშუალებას იძლევა სესხის გაცემისას მინიმუმამდე დაყვანილ იქნას პრობლემურ პორტფელთან დაკავშირებული რისკები. სალაროებს ყოველთვის ჰქონდათ და აქვთ თანხის ზედა ზღვარი, რისი გადაჭარბებაც ეკრძალებათ მოლარეებს. ინკასატორებს ყოველთვის ევალუბრდებოდათ და ევალუბა აღნიშნული ლიმიტების კონტროლი და სწრაფი ინკასაცია, 2020 წელს დაინერგა სწრაფი გადახდის აპარატების სერვისი, ონლაინ გადახდის მომსახურება რომლითაც აქტიურად სარგებლობენ კომპანიის მომხმარებლები.

მისო ბერმელს არ გასჭირვებია რეგულაციებზე მორგება, მოგეხსენებათ 2018 წელში დაწესდა საპროცენტო განაკვეთების ზედა ზღვარი. თუმცა ბერმელისთვის ამით არაფერი არ შეცვლილა, რადგან მისი საპროცენტო განაკვეთები არ ცდებოდა დაწესებულ ლიმიტებს. პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვასთან ერთად დაინერგა რეზერვირების სისტემაც.

რაც შეეხება სავალუტო რისკს, ვინაიდან თითქმის შეუძლებელია აღნიშნული რისკის სრულად პროგნოზირება, 2022 წლის ბოლოსათვის არსებით ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

ვინაიდან მისობისათვის სესხის გაცემის ზედა ზღვარი შეადგენს ჯამურად ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე 100,000 ლარს, კომპანია პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით მუდმივად იცავს ლიმიტს. შეუძლებელია აღნიშნული რეგულაციის დარღვევა.

სალომბარდე სესხის გარდა ყველა სესხის შემთხვევაში ხდება სასესხო განაცხადის შევსება, რომელიც მუშავდება და მოწმდება მასში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე, მზადდება პროექტი და შესაბამისი დოკუმენტაციით ეგზავნება კომიტეტს. კომიტეტის მიერ ხდება მოცემული პროექტის დეტალური შესწავლა, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების მიღება. კომიტეტი უფლებამოსილია, დაამტკიცოს სესხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობს მინიმუმ ორი კომიტეტის წევრი. თუ სესხი მაღალ რისკიანია, განხილვაში ერთვება კომპანიის დირექტორი.

მისოს საკრედიტო პორტფელის აბსოლუტური უმრავლესობა არის უზრუნველყოფილი. უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს: სატრანსპორტო საშუალებები, ძვირფასი ქვები და ლითონები, ტექნიკა, უძრავი ქონება. უძრავი ქონების შემთხვევაში უზრუნველყოფად მიღება ხდება მხოლოდ იმ ქონების, რომელიც მდებარეობს ცენტრალურ ქალაქებში, სამომავლოდ რისკის შემცირების მიზნით.

კვლევები

კომპანია ყოველკვარტალურად აკეთებს ბაზრის კვლევას მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და მთლიანად საფინანსო სექტორში კონკურენტების შეთავაზებების, პროდუქტების, სიახლეების და სხვადასხვა პროდუქტზე კლიენტის მოთხოვნის მიმართულებით, კვლევა ხორციელდება კომპანიის შიდა რესურსით რეგიონების მიხედვით.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელის“ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 20 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

ე. ბერიძე-მელიქიშვილი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელის“ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 20 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



ე. ბერიძე-მელიქიშვილი